



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №95/18

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- და -- -- (წარმომადგენელი) 2018 წლის 27 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 25 სექტემბრის №95/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორები მიუთითებენ მოსამართლე -- -- მხრიდან საქმის განხილვის გაჭიანურებაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- 2014 წლის 06 ივნისს სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს და მესამე პირის - -- -- მიმართ. მოსარჩელე მოითხოვდა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის 2014 წლის -- გაფრთხილების ბათილად ცნობას.

აღსრულების პოლიციის 2014 წლის -- გაფრთხილების თანახმად, -- -- ეცნობა, რომ მათ წარმოებაში იყო -- -- განცხადება, რომელიც როგორც საჯარო აუქციონზე შემძენი და მესაკუთრე ითხოვს -- -- გამოსახლებას უძრავი ქონებიდან, რის საფუძველზეც 10 დღის ვადაში უნდა მოეხდინა უძრავი ქონების ნებაყოფლობითი განთავისუფლება ან მართლზომიერი

მფლობელობის და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

-- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით --
-- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

-- -- 2016 წლის 25 აპრილს სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება. -- -- მოითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და დაუშვებლობის მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტას.

-- -- 2016 წლის 31 მაისს ასევე სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- საქალაქო სასამართლოს -- საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2016 წლის 10 ივნისის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველი.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2016 წლის 17 ივნისის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი. საჩივრის ავტორს დაევალა სააპელაციო საჩივრის შესაბამისი ფორმის ნიმუშის მიხედვით წარმოდგენა, სადაც მითითებული იქნებოდა საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2016 წლის 10 და 17 ივნისის განჩინებები მხარეებს გაეგზავნათ 2016 წლის 12 და 19 ივლისს.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2016 წლის 18 ივლისიდან 16 აგვისტოს ჩათვლით იმყოფებოდა შვებულებაში.

-- -- ხარვეზის შევსების შესახებ განცხადება სასამართლოს წარუდგინა 2016 წლის 28 ივლისს.

-- -- 2016 წლის 02 აგვისტოს შეიტანა კერძო საჩივარი -- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2016 წლის 10 ივნისის განჩინებაზე.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2016 წლის 18 აგვისტოს განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

-- -- კერძო საჩივარი საქმესთან ერთად საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაიგზავნა 2016 წლის 23 სექტემბერს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2016 წლის 07 ოქტომბრის განჩინებით, სახელმწიფო ბაჟის დამადასტურებელი ქვითრის წარუდგენლობის გამო, -- -- კერძო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი.

-- -- 2016 წლის 19 ოქტომბერს წარადგინა ხარვეზის შევსების შესახებ განცხადება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ოქტომბრის

განჩინებით, -- -- კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2017 წლის 09 მარტის განჩინებით, -- -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა -- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2016 წლის 10 ივნისის განჩინება და საქმე დასაშვებობის ეტაპიდან განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოდან საქმე --ს სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2017 წლის 13 აპრილს.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2017 წლის 21 აპრილის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის მოსამართლე -- -- 2017 წლის 18 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით იმყოფებოდა შვებულებაში.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2017 წლის 01 ნოემბრის განჩინებით, -- -- და -- -- სააპელაციო საჩივრების განხილვა დაინიშნა 2017 წლის 19 დეკემბერს.

მხარეებს სააპელაციო საჩივრები და სასამართლო უწყებები გაეგზავნათ 2017 წლის 22 ნოემბერს, აგრეთვე დაევალებათ სააპელაციო შესაგებელის წარდგენა.

-- -- სააპელაციო შესაგებელი წარადგინა 2017 წლის 01 დეკემბერს.

-- -- სააპელაციო შესაგებელი წარადგინა 2017 წლის 05 დეკემბერს.

საქმეზე სასამართლო სხდომა გაიმართა 2017 წლის 19 დეკემბერს. მორიგი სხდომა ჩაინიშნა 2018 წლის 30 იანვარს, რაც ვერ შედგა მოსამართლე -- -- საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის გამო.

მორიგი სასამართლო სხდომა გაიმართა 2018 წლის 06 მარტს.

სასამართლო სხდომის მდივნის 2018 წლის 20 მარტის ცნობის მიხედვით, საქმის განხილვა გადაიდო.

საქმეზე შემდგომი სასამართლო სხდომები გაიმართა 2018 წლის 08 და 29 მაისს.

-- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2018 წლის 31 მაისის განჩინებით, -- -- და -- -- სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

2.2. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა და მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- სააპელაციო სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- -- 2017 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 421 საქმე, საიდანაც დასრულდა - 307 საქმე (73%), ხოლო 2018 წლის (01/01/2018 – 01/09/2018) მდგომარეობით განსახილველად ეწერა 294 საქმე, საიდანაც დასრულდა - 187 საქმე (64%).

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

საჩივრის ავტორები მიუთითებენ მოსამართლე -- -- მიერ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ გვამღევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული მნიშვნელოვანია განისაზღვროს - 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others

v. Romania, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (König v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; §93; Tiece v. San Marino; §31; Sürmeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlander v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany; §98).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქმედების საქმის განხილვის „უსაფუძვლო“ გაჭიანურებად მიჩნევისთვის, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ საქმის განხილვის ვადებთან ერთად, მხედველობაში მიიღება საქმის მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდი (თითქმის 01 წელი 11 თვე 29 დღე, აქედან საქმის საქართველოს უზენაეს სასამართლოში ყოფნის პერიოდი შეადგენდა - 06 თვე და 21 დღე), საქმეთა სიმრავლე, დატვირთულობა და განსახილველ საქმესთან მიმართებაში მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები,

რაც განსახილველ შემთხვევაში არ ქმნის საკმარის საფუძველს საქმის განხილვის „ბრალეულ“ უსაფუძვლო გაჭიანურებად შეფასდეს საქმის სააპელაციო სასამართლოში შეტანიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე პერიოდი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (კენჭისყრაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 12 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტითა და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №95/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი**